სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
ბ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080113596201216

2201

28 / ივლისი / 2016 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2016 წლის 26 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის SMP160002065 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV-71300000 - საინჟინრო მომსახურებები) შესყიდვას.

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სტიქია მოხდა 2016 წლის 8 ივლისს, რის შედეგადაც დაზიანებულია გზები, არხები, საფეხმავლო და საავტომობილო ხიდები. მუნიციპალიტეტის ზარალის შემსწავლელმა კომისიამ შეისწავლა და დაადგინა სტიქიით მიყენებული ზარალის ოდენობა 9 ივლისს. 2016 წლის 15 ივლისს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, რათა სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის თანხის გამოყოფისა და სამუშაოების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის უფლების მინიჭების მიზნით ეშუამდგომლა მას საქართველოს მთავრობასთან. შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის № 1409 განკარგულებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო თანხა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გასატარებლად. აღნიშნული სახსრები ბიუჯეტში ასახული იქნა 2016 წლის 24 ივლისს.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა, შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ ვერ განსაზღვრავდა შესყიდვის საჭიროებას. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შექმნილი ვითარების გამო შეუძლებელია სახოფლო გზებით, საფეხმავლო და საავტომობილო ხიდებით სარგებლობა. ამასთანავე შესყიდვის განუხორციელებლობა გამოიწვევს სარეაბილიტაციო სამუშაოების [illegible]

პროცედურების შეფერხებას, რაც ხელს შეუშლის საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების დროულად განხორციელებას და ინფრასტრუქტურის მოკლე ვადებში აღდგენას. შესაბამისად, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შემსყიდველმა ორგანიზაციამ შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამავდროულად, სააგენტო განმარტავს, რომ შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვები უნდა განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნა.

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის SMP160002065 მიმართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე